

499.962 (074)
3-27

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტი**

ხელნაწერის უფლებით

შორენა ვლადიმერის ასული ბარკალაია

**მოსწავლეთა წერითი მეტყველების
განვითარებაზე მუშაობის სისტემა ქართული
სკოლის მეხუთე-მეექვსე კლასებში**

13.00.02 – ქართული ენის სწავლების მეთოდика

ავტორეფერატი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1999

**ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **როზა გაბუნავა**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტი: **კარლო მაჭარაშვილი**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ნათელა მაღლაკელიძე**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ტიტე სულაბერიძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

წამყვანი ორგანიზაცია: თელავის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 1999 წლის 17 ივნისს 12 საათზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკურ უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს PD.13.00.C №1 სხდომაზე.

მისამართი: 380079, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 17 მაისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი,

ციალა ლოლაძე

თემის აქტუალობა — ქართული ენის მეთოდის ერთ-ერთი უროულესი პრობლემაა მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარება. ამ საკითხს მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნეს ქართველმა და უცხოელმა მეთოდისტებმა: მ. თალაკვაძემ, ვ. რამიშვილმა, ვ. შალამბერიძემ, რ. გაბუნავამ, ნ. ბასილიამ, ნ. ჭეიშვილმა, ნ. უსტიაშვილმა, ლ. წულაძემ, ნ. მაღლაკელიძემ, ლ. ა. ფედორენკომ, კ. ბ. ბარხინმა, ს. პ. ბელიცკაიამ, ტ. ა. ლადიჟენსკაიამ, ვ. ვ. ბუსიგინამ, ა. ა. ლატიუკმა, ვ. ა. ნიკოლსკიმ, მ. ბ. მიხაილოვმა და სხვებმა. მიუხედავად ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების შესწავლამ, მოსწავლეთა ზეპირსა და წერით მეტყველებაზე დაკვირვებამ, მაკონსტატირებელმა ექსპერიმენტებმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წერითი მეტყველების განვითარების საკითხები არასაკმარისადაა დამუშავებული. წარმოდგენილი გამოკვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მასში მოცემულია მცდელობა თეორიულად და პრაქტიკულად დასაბუთდეს საგანგებო მუშაობის აუცილებლობა მოსწავლეთა წერითი მეტყველების უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის. ამაში დავგარწმუნა როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთული ლიტერატურის შესწავლამ; აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ მოსწავლეთა ნაწერებში ხშირად გვხვდება ისეთი ხარვეზები, როგორცაა: ალოგიკურობა, მეტყველების დაბალი კულტურა, სტილისტური უზუსტობანი, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები და ა.შ., გვაფიქრებინა, რომ მათი აღმოფხვრა შეუძლებელია მარტოოდენ იმ ცოდნის საშუალებით, რაც მოქმედი პროგრამით არის გათვალისწინებული. აუცილებელია სწავლების პროცესში მეტყველების კულტურის, პრაქტიკული სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ელემენტების ჩართვა. ამ დარგებში უადრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შექმნილი არნ. ჩიქობავას, ლ. კვაჭაძის, ბ. ჯორბენაძის, ვრ. კიკნაძის, ვ. ნებიერიძის, ზ. ჭუმბურიძის, შ. ძიძიგურის, ვ. სერგაის, რ. გაბუნავას, ვ. ვ. ბოვდანოვის, ვ. ვ. ვინოგრადოვის, პ. ი. გალპერინის, ბ. ნ. გოლოვინის, მ. მ. მიხაილოვის, ლ. ა. ნოვიკოვისა და სხვათა მიერ. ამ შრომების შედეგები პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობისას. მოსწავლის მეტყველების განვითარება პირდაპირ კავშირშია მისი აზროვნების განვითარებასთან. აზროვნების კანონზომიერებები ექსპერიმენტულად გამოიკვლიეს დ. უზნაძემ, ქ. მდივანმა, რ. ნათაძემ, ვ. მჭედლიშვილმა, შ. ნადირაშვილმა, ა. ნ. ლეონტიევმა, ს. ლ. რუბინშტეინმა, ბ. ტ. ანანიევმა, ი. ი. ლერნერმა, ლ. ს. ვიგოტსკიმ, ი. კ. ბაბანსკიმ, ნ. ი. ჟინკინმა, ვ. ა. ონიშჩუკმა და სხვებმა. პრაქტიკულად დადასტურებულია ამ გამოკვლევათა შედეგების სწავლების პროცესში გამოყენების მიზანშეწონილობა.

V-VI კლასების მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების პრობლემის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ:

1. აუცილებელია შეიქმნას მუშაობის ისეთი სისტემა, რომელიც შევკადლებინებს ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად პრაქტიკული

1719

